უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 22 0000544801

25/05/2022

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მონიტორინგთან
დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტებისა და 103 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კავკასიის უნივერსიტეტის (ს./კ: 205050567) მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 25 მაისის №544254 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი № 2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა